ხაშურის მოამბე

10 (91) 13 მარტი, ორშაბათი, 2017 წელი

მიუღოცეს ქალთა საერთაშორისო დღე

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურელმა, მეეზოვე ქალბატონებმა ხაშურის მუნიციპალიტეტისგან სამახსოვრო საჩუქრები

მიიღეს.

სიმბოლური, ფასიანი საჩუქრები და ყვავილების თაიგულები, მეეზოვე ქალბატონებს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძემ, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძემ, მუნიციპალიტეტის გამგეობის, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის და ა(ა)იპ ხაშურსერვისის წარმომადგენლებმა სამუშაო ადგილებზე გადასცეს.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მადლობა გადაუხადა მეეზოვეებს იმ საქმიანობისთვის, რასაც ისინი ყოველდღიურად ეწვიან და აღნიშნა მათი მნიშვნელოვანი წვლილი ქალაქში სისუფთავის შენარჩუნების საქმეში.

სარვამარტო საჩუქარი ხაშურისა და სურამის დასუფთავებაზე მზრუნველმა 42-მა ქალბატონმა მიიღო, რომლებიც ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" თანამშრომლები არიან.

აქცია, მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ინიცირებით და ორგანიზებით მოეწყო.

- სტიქია -

დაგიანებული ხიდი უახლოეს მომავალში აღდგება

თოვლის დნობის გამო, ადიდებულმა მდინარე ტილიანამ, სოფელ ქემფერთან, საავტომობილო მილ-ხიდი დააზიანა, რის შედეგადაც, ცოცხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სამი სოფელი - ქემფერი, ცედანი და წაბლოვანა, ადმინისტრაციულ ცენტრს მოწყდა.

შემთხვევის ადგილას იმყოფებოდნენ სახელმწიფო რწმუნებულ-გუ-

ბერნატორი შიდა ქართლის მხარეში კახა სამხარაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი და მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა წარმომადგენლები.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის აღსადგენად, მთელი ღამის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სამუშაოები. ამ დროისთვის მოწყობილია საფეხმავლო ხიდი, რაც მოსახლეობას გადაადგილების საშუალებას აძლევს. მოქმედებს სოფლებამდე მისასვლელი ალტერნატიული გზაც.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის ადგილას ახალი, კაპიტალური ხიდის მშენებლობა იგეგმება, რომელიც უახლოეს პერიოდში გაკეთდება.

შპს „სურამის სადაბო პოლიკლინიკა" ჯანდაცვის სფეროში მომუშავე კომპანიების ფინანსურ-ეკონომიკური რეიტინგების ერთ-ერთი ლიდერია

როგორც ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის ოფიციალური შეტყობინებიდან ირკვევა, სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ფულადი და სხვა სავალდებულო გადასახადების საფუძველზე ჩატარებული რანჟირების თანახმად, სურამის სადაბო პოლიკლინიკამ, საწარმოებს შორის, ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის მიხედვით „დაქირავებულთა რაოდენობა", ვერცხლის რეიტინგი მოიპოვა; ხოლო შიდა ქართლის საწარმოებს შორის, ფინანსურ -სამეურნეო საქმიანობის მიხედვით, - ბრინჯაოს რეიტინგი მიიღო.

მიღწეული შედეგების მიხედვით, სურამის სადაბო პოლიკლინიკამ დაიმსახურა წოდება „მედიცინის სიამაყე", რაც მის კონკურენტუნარიანობაზე, საიმედოობასა და პერსპექტიულობაზე მეტყველებს.

სურამის სადაბო პოლიკლინიკის ხელმძღვანელი, მაყვალა მაისურაძე, მიწვეულია ეკონომიკის ლიდერთა დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიებზე, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის მონაწილე ქვეყნების ყველაზე წარმატებული კომპანიები. ოფიციალური ცერემონიები გაიმართება თბილისსა და ლვოვში (უკრაინა).

სურამის სადაბო პოლიკლინიკა ხაშურის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით გარემონტდა. პოლიკლინიკის რემონტისთვის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 95 980 ლარი გამოყო, 2016 წლის განმავლობაში მოხდა შენობის მთლიანი რეაბილიტაცია.

ხაშურის მუნიციპალიტეტი ულოცავს სურამის პოლიკლინიკას მიღწეულ წარმატებას და მოხარულია, რომ ამ წარმატების მიღწევაში, მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი წვლილიც არის.

„გამოიწერეთ და იკითხეთ „ხაშურის მოამბე"

ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ 2015 - 2016 წლების მუშაობის ანგარიში

6 მარტს, საკრებულოს სესიაზე, საკრებულოს წევრებმა განიხილეს ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების მუშაობის ანგარიში, რომელიც დადებითად შეფასდა. დღეს,გთავაზობთ ამ ანგარიშის შემოკლებულ ვერსიას.

ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანება“ აერთიანებს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 13 საბავშვო ბაღს: №1, №3, №4, №5, №6, №7, №8 ხაშურის საბავშვო ბაღი; №9 სურამის საბავშვო ბაღი; 10 ცხრამუხის საბავშვო ბაღი; №11 ალის საბავშვო ბაღი; №12 ოსიაურის საბავშვო ბაღი; №13 გომის საბავშვო ბაღი და №14 ვაყის საბავშვო ბაღი;

ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ დასაქმებულია 256 ადამიანი. 2016 წლის გაზაფხულზე,408 აღსაზრდელმა დატოვა საბავშვო ბაღი და პირველი ნაბიჯები გადადგა სკოლისკენ მიმავალ გზაზე, ხოლო შემოდგომაზე მივიღეთ 655 აღსაზრდელი. დღეისათვის გაერთიანება ემსახურება 1658 აღსაზრდელს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს, აგრეთვე, 8 ალტერნატიული საბავშვო ბაღი სოფლებში, ესენია: წაღვლი, ფლევი, ნაბახტევი, ტეზერი, წრომი, ბიჯნისი, ქვიშხეთი და ხცისი, რომლებსაც გაერთიანება უწევს მეთოდურ მომსახურებას და ამარაგებს საკანცელარიო საქონელით, სათამაშოებით, სასწავლო-საალმზრდელო საჭირო მასალებით და საწვავი შეშით.

სკოლამდელი დაწესებულებების მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, სუბსიდიის სახით, მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი იყო 1 271 000 ლარი. აქედან, ათვისებულ იქნა 1 213 944 ლარი. საბავშვო ბაღების 2015 წლის ბოლოს არსებული ნაშთი კი, რომელიც „საკუთარი სახსრებით“ აისახა გაერთიენების ბიუჯეტში, შეადგენდა 103 815 ლარს, ათვისებულ იქნა 100 299 ლარი.

ნატურალური, საღი და უვნებელი საკვების შესაძენად გამოცხადებულ იქნა 18 გამარტივებული, ელექტრონული ტენდერი ბოსტნეულის, ბურღულეულის, ხორცის, თევზის, ქათმის კვერცხის, ხილის, პურის, რძის ნაწარმის და სხვა საჭირო პროდუქტებზე. დადებული ხელშეკრულებების ჯამმა შეადგინა 225 371.99 ლარი, ათვისება 200 036.31 ლარი. ასევე მოვახდინეთ, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე გამარტივებული შესყიდვა საკვებ პროდუქტებზე თანხით 9 820.67 ლარი, ათვისება 9 542.99 ლარი. გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული იყო ი/მ გიორგი ბათიაშვილის მიერ, 4 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებით.

მუნიციპალიტეტის მიერ აშენებული სოფელ ვაყის საბავშვო ბაღი, 2016 წლის ზაფხულში, სრულად იქნა აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, სადაც 60-მდე აღსაზრდელს შეუძლია ლამაზ გარემოში დაეუფლოს სკოლამდელ აღზრდის პროგრამას. სოფელ ვაყის საბავშვო ბაღისათვის შეძენილ იქნა:

15011.72 ლარის ავეჯი (ორსართულიანი საწოლები, საბავშვო სკამები, საბავშვო მაგიდები, სამზარეულოს უჟანგავი ლითონის მაგიდები, კარადები, თაროები და სხვა); 3555 ლარის ქსოვილის ნივთები (საბნები, ლეიბები, ბალიშები, თეთრეული, ხალიჩები, საწოლის გადასაფარებლები, ფარდები და სხვა); 12266.10 ლარის საოჯახო ტექნიკა (საყინულე, მაცივარი, ქურა, სარეცხიმანქანა, მტვერსასრუტი და სხვა) თანხით 12 266.10 ლარის. (ამავე ხელშეკრულების ფარგლებში იქნა ასევე 9 (ცხრა) საბავშვო ბაღში შეტანილი საოჯახო ტექნიკა), სათამაშოები (ხის სათამაშოები) 1 718 ლარის; ჭურჭელი 2 535,60 ლარის; პიანინო, ტელევიზორი, და მუსიკალური ცენტრი 1 365 ლარის.

2016 წლის ბოლოს გაერთიანების მიერ საბავშვო ბაღებისათვის შეძენილ იქნა 39332.94 ლარის ავეჯი (საწოლები სასადილო მაგიდები, ხის სკამები, კარადები, უჟანგი ლითონის მაგიდები სამზარეულოებისათვის, საოფისე მაგიდები აღმზრდელებისათვის, საოფისე სკამები და სხვა); (ამავე ხელშეკრულების ფარგლებში მოხდა ადმინისტრაციისათვის საჭირო ავეჯის შესყიდვაც) ქსოვილის ნივთები (საბნები, ლეიბები, ბალიშები, საწოლის გადასაფარებლები, ფარდები და სხვა) 11 147 ლარის.

2016 წელს გაერთიანების მიერ საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის შეძენილ იქნა 19885.69 ლარის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე, პირადი ჰიგიენის საშუალებები, ხოლო საკანცელარიო საქონელი 12 023.02 ლარის.

ასევე გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე საბავშვო ბაღებისათვის შეძენილ იქნა 2468.32 ლარის მწერების დამცავი ბადეები.

2016 წლის თებერვლის თვეში მოხდა 4980.36 ლარის 4 საბავშვო ბაღის წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

2016 წლი ივლისის თვეში, სოფელ ალის საბავშვო ბაღის სამზარეულოში გამოცვლილ იქნა ძველი და დამპალი ხის კარ-ფანჯრები მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებით.

2016 წლის ნოემბრის თვეში, მოვახდინეთ სოფელ ცხრამუხის საბაშვო ბაღში ამორტიზებული იატაკის სრული აღდგენა უმოკლეს დროში.

2016 წლის ოქტომბრის თვეში, მოხდა 3513.32 ლარის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №3 საბავშვო ბაღის გაზმომარაგების (შიდა ქსელის) სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა, დეკემბერში მოვახდინეთ № 3 საბავშვო ბაღში, 6 ცალი წყლის გამაცხელებელის ავზის შეძენა/დამონტაჟება და დღეის მდგომარეობით, ცხელი წყლის პრობლემა მოხსნილია აღნიშნულ საბავშვო ბაღში.

კანონით დადგენილი წესით და ვადებში ვახდენდით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევას, სასმელად ვარგისიანობის დაგენის მიზნით.

№5 და №14 საბავშვო ბაღებისათვის შესყიდულ იქნა ფერწერული ნახატები, ჩარჩოში ჩასმული, ილუსტრირებული ზღაპრის პერსონაჟებით გაფორმებული, ხოლო მხატვრული ლიტერატურა ყველა საბავშვო ბაღისათვის.

საახალწლო დღეებთან დაკავშირებით, ყველა საბავშვო ბაღისათვის შესყიდულ იქნა საახალწლო სათამაშოები და, რაც ყველაზე მთავარია, საახალწლოდ საბავშვო ბაღების ყველა აღსაზრდელმა მიიღო საჩუქრად ტკბილეული და ნაძვის ხის სათამაშოები.

დეკემბრის თვეში, შეძენილ იქნა, მზარეულებისათვის, მზარეულის დამხმარეებისათვის, ექთნებისათვის და დამლაგებლებისათვის უნიფორმები.

გაერთიანების მიერ შესყიდულ იქნა 4 850.00 ლარის სატრენინგო მომსახურება - პერსონალის გადამზადება სერტიფიცირების სფეროში, „სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და განვითარების საკითხებზე“. სულ გადამზადებულ იქნა: სკოლამდელი დაწესებულების 13 მენეჯერი, სკოლამდელი დაწესებულების 49 აღმზრდელი, სკოლამდელი დაწესებულების 11 ექთანი, სკოლამდელი დაწესებულების 13 მზარეული და სკოლამდელი დაწესებულების სამეურნეო დარგის 8 სპეციალისტი. შეძენილ იქნა სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელებისათვის „სასწავლო საალმზრდელო პროგრამა ბაგა-ბაღებისათის“ (აქტივობების წიგნი და დანართი).

ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა შეადგენდა 478 140 ლარს. აქედან, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებების ჯამმა შეადგინა 363 910.40 ლარი, ათვისება 336 821.91 ლარი, ხოლო გამარტივებული შესყიდვით დადებული ხელშეკრულებების ჯამი შეადგენდა 102 039.72 ლარს, ათვისება 100 694.83 ლარი. სულ ჯამში დადებული ხელშეკრულებების ჯამმა შეადგინა 465 950.19 ლარი, ათვისება 437 516.74 ლარი.

2016 წელს, გაერთიენების მიერ გამოცხადებულ იქნა 33 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი: აქედან 30 ხელშეკრულება გაფორმდა, 2 არ შედგა, 1 უარყოფითი შედეგით დასრულდა.

დავით ნოზაძე,
ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი

SOS _ კუსებრი ფაროსანა ძალიან საშიში მავნებელია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოში, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მავნებლის «კუსებრი ფაროსანას» წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა მუშავდება. აღნიშნული მავნებელი, დასავლეთ საქართველოში სულ უკანასკნელ პერიოდში, მასშტაბურად გავრცელდა. კუსებრი ფაროსანა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს აზიანებს და გავრცელებულია როგორც მეზობელ ქვეყნებში, ასევე, ევროპის რამდენიმე ქვეყანასა და აშშ-ში. სურსათის ეროვნულ სააგენტოში მავნებლის წინააღმდეგ კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებაზე, მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის დეტალებზე უცხოელ და ქართველი მეცნიერებთან, ასევე, დარგის სპეციალისტებთან და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელეს. შექმნილია სპეციალური საუშაო ჯგუფი. მავნებლის წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება დაიწყება.

მოსახლეობას ვთხოვთ, ამ მავნებლის დაფიქსირების შემთხვევაში, სასწრაფოდ მიმართოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს, ან უშუალოდ დარეკეთ სამინისტროს ცხელ ხაზზე 15-01, რათა, უმოკლეს ვადებში მოხდეს მისი გაუვნებელყოფა.

ქვემოთ გთავაზობთ ინფორმაციას ამ მავნებლის შესახებ

ნახევრადხეშეშფრთიანები – Pentatomidae ყავისფერი მარმარილოსებრი ფაროსანი ბაღლინჯო Halyomorpha halys- გავრცელებულია იაპონიაში, სამხრეთ ჩინეთსა და კორეაში. გასული საუკუნის ბოლო წლებში გამოჩნდა ამერიკაში, ხოლო 2000–იანი წლების ბოლო პერიოდში ევროპაში. რეგიონში შესამჩნევად გამოჩნდა 2015 წელს, ხოლო 2016 წლის სეზონზე თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ფაროსანი ბაღლინჯოს ეს სახეობა, ინვაზიური, მავნებელი მწერია. პოლიფაგია, რომელიც 300–მდე მცენარეზე მავნეობს. მიეკუთვნება საშიშ მავნებლებს, შეუძლიათ დიდი ზარალი მიაყენონ სოფლის მეურნეობას. მავნეობენ, თითქმის ყველა, სასოფლო სამეურნეო კულტურაზე. სეზონის განმავლობაში მუდმივად მიგრირებენ ნათესებზე. ზრდასრულ ინდივიდებს დიდ მანძილებზე შეუძლიათ ფრენა, ხოლო არასქესმწიფე ინდივიდები, ნიმფები, მოკლე მანძილებზე გადაადგილდებიან. იკვებებიან მცენარის უჯრედებიდან წვენით. მავნებელი, საკვების მოპოვების მიზნით, ხორთუმით ჩხვლეტს მცენარის ახალგაზრდა ნაწილებს, ძირითადად ახალგაზრდა ყლორტებს, კვირტებს, ფოთლებს, ნაყოფს. ამ დროს, ის გამოყოფს ნერწყვთან ერთად ტოქსინს, რომელიც იწვევს მცენარეული უჯრედების დაშლას. დაზიანებულ ადგილზე ჩნდება უფერული და ასევე, ღია და მუქი ფერის ლაქები. დაზიანებული ყლორტები ყვითლდებიან, ჩამორჩებიან ზრდაში და თანდათანობით ჭკნებიან. კვირტის დაზიანების შემთხვევაში იწყება ყვავილების ცვენა, ან ვღებულობთ დაზიანებულ ფოთოლს ან ნაყოფს, ხოლო ნაყოფის შემთხვევაში ნაყოფი არის შიგნით დაზიანებული, ხდება უფორმო და უხარისხო. აღსანიშნავია ის, რომ მწერისაგან დაზიანებული ნაყოფის მიღება საკვებად არ არის რეკომენდირებული.

კვება და გამრალება ძირითადად ამ მავნებლების მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებულ ფართობებზე. გადაზამთრებული მავნებელი მწერები გაზაფხულზე, როცა დღეღამური ტემპერატურა მიღწევს 12-15 გრადუსს, მოემართებიან სასოფლო სამეურნეო კულტურების ქვეშ არსებულ ფართობებში. ადვილად ადაპტირდებიან ახალ გარემოში, ერთ კვირაში სქესობრივად აქტიურდებიან და იწყებენ განაყოფიერებას. განაყოფიერებიდან 7-10 დღეში, მდედრები იწყებენ კვერცხის დებას, კვერცხს დებს ძირითადად ფოთლის ქვედა მხარეზე ასევე ღეროზე, ყლორტზე, მცენარეების ნარჩენებზე. კვერცხებს დებს ნაწილ-ნაწილად , კვერცხმდებლობა გრძელდება ერთი თვემდე, საშუალოდ დებს 75-150 მდე კვერცხს. კვერცხიდან გამოჩეკილები, თითქმის, მსგავსები არიან იმაგოსი, მხოლოდ არ გააჩნიათ ფრთები. გამოჩეკილი ბარტყი გადის ხუთ სასიცოცხლო ზრდის სტადიას. კვერცხიდან იმაგომდე სჭირდება 35-60 დღე. ისინი, მთელი ამ ხნის განმავლობაში, არიან ერთ მცენარეზე ზრდასრულ მწერებთან ერთად, იკვებებიან ჩვეულებრივად როგორც ზრდასრული მავნებლები, შემდგომ, სივრცის სიმცირის გამო, მიმოიფანტებიან სხვა მცენარეებზე, იმაგოს ფაზაში სქესობრივად მწიფდებიან ნაყოფიერდებიან და იწყებენ კვერცხის დებას. წელიწადში ჩვენი ბუნებრივი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ძირითადად ერთ თაობას ხშირ შემთხვევაში ორ ან მეტ თაობას. ჩინეთში ისინი ხუთ-ექვს თაობასაც იძლევიან. ყავისფერი მარმარიროსებრი ბაღლინჯოს მიერ თხილის დაზიანება მთელი სეზონის განმავლობაში გრძელდება. მცენარეზე ზიანის მიყენება იწყება ადრე გაზაფხულზე, მაის–ივნისში და გრძელდება გვიან შემოდგომამდე.

ამ მავნებელის სიცოცხლის ხანგრძლივობა 11-12 თვეა. მდედრები უფრო დიდხანს ცოცხლობენ. გადაზამთრებული მამრები განაყოფიერების, ხოლო მდედრები კვერცხდების შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იღუპებიან.

გადასაზამთრებლად მზადებას სექტემბრის ბოლოდან იწყებენ. იზამთრებს მხოლოდ ზრდასრულ სტადიაში. გამოზამთრდება ტყეებში ფოთლების და სარეველა მცენარეების ნარჩენებში, აგრეთვე დაცემული ხეების ფუღუროებში ან სხვა დაუცველ ადგილას, ყანებში მცენარეების ნარჩენების ქვეშ, და მიწაშიც 3-4 სმ სიღრმეში, დასახლებულ ადგილებში ეტანებიან უმეტესად შენობა-ნაგებობებს, სადგომებს და ისეთ ადგილას, როგორებიცაა ყუთები, სათავსოები და ა.შ . მათ შეუძლიათ გადასაზამთრებელ ადგილამდე 200 კმ-ის დაფარვა და ზღვის დონიდან 1400-2000მ სიმაღლეზე აფრენა.

ვასუხი - განმარტება „რუსთავი-2“-ის ვასკვილზე

ხაშურის მუნიციპალიტეტი ეხმაურება ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ზე გადაცემა „ვანოს შოუში“ გასულ ლევან ხაბეიშვილის განცხადებას და მის შესახებ შექმნილ არაჯანსაღ აჟიოტაჟს.

იმისთვის, რომ დაინტერესებულ მოქალაქეებს სრულყოფილი და სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ განვითარებული მოვლენების შესახებ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ საზოგადოებას გავაცნოთ ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც ხაშურის მუნიციპალიტეტსა და შპს „მშენებელი XXI+”-ს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს ეხება.

შპს „მშენებელი XXI+“-მა ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა ჯერ კიდევ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე და 2014 წლის 3 ივნისს კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საგანი იყო ქალაქ ხაშურსა და დაბა სურამში ნაპირსამაგრი და ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.

შპს „მშენებელი XXI+”-ს წინასწარი ანგარიშსწორებით თანხა მუნიციპალიტეტიდან გადაერიცხა საქართველოს კანონმდებლობის, როგორც სატენდერო, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით, მის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის და სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული დაზღვევის გარანტიის საფუძველზე (სრულიად შეგნებულად არ ვასახელებთ სადაზღვევო კომპანიის სახელს, რათა ჩრდილი არ მივაყენოთ მის რეპუტაციას). სამართლიანობისთვის უნდა ითქვას ისიც, რომ გადარიცხული თანხიდან გარკვეული ნაწილი კომპანია შპს „მშენებელი XXI+”-მა ნამდვილად მიზნობრივად დახარჯა, რაც დადასტურებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნით და ამ ნაწილში მათთვის თანხის გადარიცხვის მიზნობრიობა არც ერთი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ ეჭვის ქვეშ არ დამდგარა. თუმცა, სამწუხაროდ, კომპანიამ მის მიერ აღებული ვალდებულების სრულყოფილად შესრულება ვერ შეძლო. კერძოდ, ზემოაღნიშნულისა, საავანსო პირობებისა და შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, შპს „მშენებელი XXI+”-ს სულ გადაერიცხა 363342 ლარი. საავანსო თანხა კომპანიამ მიიღო კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე. შესრულებული სამუშაოები სამხარაულის ექსპერტიზამ შეაფასა 261962 ლარით. რადგან შპს „მშენებელი XXI+”-მა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებიც დაარღვია და ხელშეკრულება დაზღვეული იყო სადაზღვევო კომპანიის მიერ, მუნიციპალიტეტმა მყისიერად მიმართა შესაბამის ზომებს და შპს „მშენებელი XXI+”-ის წინააღმდეგ დაიწყო საჯარიმო სანქციების ამოქმედება. 2015 წლის 18 ივნისს, ხაშურის რაიონულ სასამართლოში, ხაშურის მუნიციპალიტეტმა შეიტანა სარჩელი კომპანია შპს „მშენებელი XXI+”და სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ, რითაც მუნიციპალიტეტი შპს „მშენებელი XXI+”-ისგან ითხოვდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდას. ასევე სადაზღვევო კომპანიის მიერ თანხის ანაზღაურებას.

კონტრაქტორი კომპანიების მიერ აღებული პასუხისმგებლობების არაჯეროვანი შესრულება სამეურნეო საქმიანობის რუტინული თანამდევი ნაწილია. მუნიციპალიტეტი ელოდება სასამართლოს გადაწყვეტილებას. სადაზღვევო კომპანიისგან მუნიციპალიტეტს უკვე მიღებული აქვს ხელშეკრულების რისკის თავიდან აცილების მიზნით განსაზღვრული თანხა. პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, და ცხადია, საბოლოო განაჩენს ამ საქმეზე სასამართლო გამოიტანს, თუმცა, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისგან აღარც ჩვენ და აღარც საზოგადოებას უკვე დიდი ხანია არ გვიკვირს, რომ მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია არასანდო, უკიდურესად მიკერძოებული და არაეთიკურია, მაგრამ გულწრფელად გვიკვირს, რატომ ცდილობენ ამ მახასიათებლების მქონე ინფორმაციით საზოგადოების თვალში ქულების დაწერას ის ადამიანები, რომლებიც, ერთის მხრივ, არასანდო ტელეკომპანიის წინააღმდეგ განცხადებებს აკეთებენ და მეორეს მხრივ, მათ მიერ მოწოდებულ ბინძურ, ყალბ ინფორმაციაში „ჭეშმარიტების“ მარცვლებს ეძებენ.

არ გამოვა, ბატონებო! შეუძლებელია დაიჭირო კატა ბნელ ოთახში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის იქ არ იმყოფება!

კიდევ ერთი, ჩვენთვის ადამიანურად და სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტორიც უნდა დავასახელოთ: ბატონ ხაბეიშვილს ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის ოფიციალურად არ მოუმართავს და აღნიშნული დავის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოუთხოვია. მისი აქტიურობა ამ საქმესთან დაკავშირებით მხოლოდ კომპანია „მშენებელი XXI+”-ის მიერ მუშების მიმართ არსებული დავალიანების დაფარვის მოთხოვნით შემოიფარგლებოდა. შესაბამისად, მის მიერ „რუსთავი-2“-ის ეთერით გაკეთებული განცხადებები, თითქოს მუნიციპალიტეტში გულხელდაკრეფილი აკვირდებოდნენ საქმის მიმდინარეობას, სიმართლეს არ შეესაბამება. რაც შეეხება ცნობას კომპანიის ხელმძღვანელის ფსიქიური ჯანმრთელობის შესახებ, შეუძლებელია, მუნიციპალიტეტს ეს ცნობა ვინმესთვის მოეთხოვა, მიეღო, ან მსგავსი სახის ინფორმაცია გაეცა, რადგან ასეთი საკითხები რადიკალურად სცილდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას. თუმცა, ნათელი გვინდა მოვფინოთ იმასაც, რომ აღნიშნულ საქმეზე სასამართლო პროცესების გაჭიანურება ერთმა სამწუხარო გარემოებამაც განაპირობა: კომპანია შპს „მშენებელი XXI+”-ის ხელმძღვანელი, რომელიც „ვანოს შოუში“ ფსიქიურად დაავადებულად გამოაცხადეს და ამაზე ყოვლად არაეთიკური მანჭვა-გრეხაც ატეხეს, დღეს გარდაცვლილია. მიმდინარეობს სამართალმემკვიდრის დადგენის პროცედურები. ჩვენთვის ეთიკურადაც მიუღებელია მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ხაზგასმა და სამართლებრივადაც. შესაბამისად, მსგავსი ინფორმაცია რომც გვქონოდა, საჯაროდ მაინც არ განვაცხადებდით. ამიტომ, ფეისბუქ-კამპანიის ავტორებს ვურჩევთ, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობით სპეკულირებას იაფფასიანი ქულების ჩასაწერად ნუ გამოიყენებენ, განსაკუთრებით, როცა პიროვნება გარდაცვლილია.

ხაზს გავუსვამთ ერთ ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხსაც: მიუხედავად იმისა, რომ საავანსო ანგარიშსწორება დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომლითაც მრავალი სახელმწიფო დაწესებულება, მათ შორის მუნიციპალიტეტებიც ხშირად სარგებლობენ, ხაშურის მუნიციპალიტეტის დღევანდელი ხელმძღვანელობის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, მსგავსი პრაქტიკა ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ არც ერთ შემთხვევაში არ განხორციელებულა.

აქვე, კიდევ ერთხელ, საჯაროდ ვაცხადებთ, რომ მუნიციპალიტეტი ღია დაწესებულებაა და კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების მიხედვით, ნებისმიერი ინფორმაციის მიღება დაუბრკოლებლად შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ამ შემთხვევაშიც, საკმარისი იყო უბრალო დაინტერესება, შეკითხვის დასმა და არა ჭიქაში ქარიშხლის გამოწვევის უპერსპექტივო მცდელობა, რაც რეალურად არაფრის მომცემია.

შევეცადეთ, რომ მაქსიმალურად ლაკონურად და პოპულარული ენით გამოგვეხატა ჩვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ცხადია, საკითხი მოიცავს მრავალ ნიუანსს, რომელიც ფეისბუქის ფორმატს სცილდება და სპეციალისტების მსჯელობის საგანია. მუნიციპალიტეტი მზად არის თანამშრომლობისთვის და ამ საკითხით უფრო დეტალურად დაინტერესებულ მოქალაქეებს შეუძლიათ მობრძანდნენ ჩვენთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეცნონ საქმის მასალებს და მიიღონ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა

სასარგებლო ტრენინგი ფერმერებისთვის

ხაშური-ქარელი-ერგნეთი... წინასწარ დაგეგმილი მარშრუტით ხაშურის ცენტრიდან ვიღებთ სტარტს. ავტობანზე, სოფელ მოხისთან, რამდენიმე ფერმერი შემოგვიერთდება და დანიშნულების ადგილისკენ დავიძრებით. მიზანი არც ოკუპაციას უკავშირდება და მით უმეტეს, არც თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას. როგორც ჩვენი ექსკურსიამძღოლი - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტი ავთანდილ გოგალაძე გვიხსნის, ერგნეთში აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით დაფინანსებული მოდერნიზებული ძველი ხეხილის ბაღის მოსანახულებლად მივდივართ, სადაც ჩვენი შიდა ქართლელი მეზობლები ვაშლის მოვლის „საიდუმლოებებს“ გაგვაცნობენ, ამიტომ, ყურადღებით უნდა მოვუსმინოთ და ვისწავლოთ ამ დარგის უბადლო სპეციალისტებისაგან.

მინიავტობუსი გორის სოფლების მიმართულებით უხვევს... ინტერესით ვათვალიერებთ ახალგაშენებულ, მოვლილ ხეხილისა და კენკრის ბაღებს. ისმის აღტაცებული რეპლიკები: ვის შემოღობილი ვაშლის ბაღი მოსწონს, ვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, საკალმახე თუ ცხვრის ფარა. მთავრობის მიერ დაფინანსებულმა აგროპროექტებმა ბევრ ადამიანს მისცა შესაძლებლობა სასურველი მეურნეობა წამოეწყო ან არსებული გაეფართოებინა... უკან ჩამოვიტოვეთ სოფლები: ვარიანი, შინდისი, ბროწლევი და, აი, გამოჩნდა ერგნეთიც, ახლადგადახურული წითელი კრამიტის სახურავებით, ბლოკპოსტით და მავთულხლართებით. ცხინვალი აქედან შეუიარაღებელი თვალითაც მოჩანს, აქ ყველაფერს მძაფრად ამჩნევია 2008 წლის აგვისტოს ომის კვალი და ვერც ოკუპაციის თემას ავცდით. მასპინძელი 90 წლის თინა იორამაშვილი- წერეთელი ომის ქარცეცხლიან დღეებს იხსენებს, რა მოხდა და როგორ დაიწყეს თავიდან ცხოვრება... და ამ ნაამბობში იმედი უფრო მეტია, ვიდრე ტკივილი. წიგნის ყდაზე დაბეჭდილ მეუღლის სიმონ წერეთლის სურათს გვიჩვენებს, აღარც კი ახსოვთ, როდის გადაუღო ფოტორეპორტიორმა. თუმცა, ეს უკვე წარსულია, გლეხკაცმა შეძლო ნასახლარი აღედგინა, დამწვარი ბაღი ხელახლა გაეშენებინა. 80 წლის ასაკში სამების ტაძარში ჯვარიც დაიწერეს... სწორედ მათი შვილიშვილი, გიორგი ქოქოზაშვილია ის ადამიანი, რომელიც ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ პროექტში ჩაერთო და თავად ავნევიდან დევნილი, პაპის გაშენებულ ბაღს ერგნეთში ახლა ის უვლის.

ტრენინგის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ლალი გოგინავა გვიამბობს, თუ რას მოიცავს პროექტი: მოხდება ძველი ხეხილის ბაღის მოდერნიზაცია იმგვარად, რომ აქ წარმოებული პროდუქტი იყოს კონკურენტუნარიანი, რისთვისაც ვაშლის შეწამვლა მოხდება მხოლოდ ორგანული პრეპარატებით, მოეწყობა წვეთოვანი სისტემა და სეტყვასაწინააღმდეგო ბადეები, რომლებიც დაკვეთილია იტალიაში. ანალოგიური ბადეები საცდელად დამზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ და როდესაც შევა სერიულ წარმოებაში, ძვირი არ ეღირება.

- საქართველო დიდი აგრარული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანაა, რომელიც ოდითგანვე მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ტრადიციებითა და კულტურული ფლორის მრავალფეროვნებით იყო ცნობილი. მართლაც, ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი გარემო პირობები ხელსაყრელია მრავალი სხვადასხვა კულტურის მოსაყვანად. განუხრელად იზრდება სხვადასხვა ბიოპროდუქციაზე მოთხოვნა ბაზარზე. მთავრობის მიერ დიდი შრომა იქნა ჩადებული სოფლის მეურნეობის პოპულარიზაციისათვის. რადგან შიდა ქართლი ვაშლის ბელდად ითვლება და წარმოუდგენელია, აქ ვაშლის ბაღებზე არ გაკეთდეს აქცენტი. - დასძენს ქალბატონი ლალი.

პრაქტიკოსი პედაგოგი იმ ცოდნას გადასცემს დამსწრეებს, რაც აუცილებლად გამოადგებათ საქმიანობაში. ბიოლოგიური პრეპარატების უპირატესობა ისიცაა, რომ 16-ის ნაცვლად,

მხოლოდ 6-ჯერ ხდება შეწამვლა, რაც შრომის ეკონომიას იწვევს. ფერმერებისათვის გამოცდილების გაზიარება ცალმხრივად არ ხდება, მათ თავიანთი არგუმენტები აქვთ, თუ რატომ ჯობია ესა თუ ის წამალი... არჩევანი ორია: ბაზარზე შხამ-ქიმიკატებით გაჯერებული პროდუქცია გავიტანოთ, თუ ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტი, რომელსაც საკუთარ ოჯახებშიც უსაფრთხოდ მოვიხმართ.

ბოლოს საცდელ ვაშლის ბაღშიც შევდივართ და პრაქტიკულ მეცადინეობას გავდივართ სხვლაში. დამწყები ფერმერები უკვე მოტივირებულები არიან და კონკრეტული გეგმები აქვთ ხეხილის ბაღის გაშენებლად. ახალი იდეებითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილები ვტოვებთ ბაღს, რომელმაც ჩვენთვის განახლების, იმედის, მეგობრობის სიმბოლო გახდა.

მარიამ იზორია

კიდევ ერთხელ შევაყაროთ კედელს ცერცვი

ყოველდღიურად, მედიასაშუალებებიდან, იმდენ ჭკვიანურ აზრს და წინადადებებს ვისმენ, მისი ათი პროცენტიც რომ განხორციელდეს, ქვეყანა წელში გაიშლება.

ამ წინადადებებში არის რთულად გადასაწყვეტი საკითხებიც, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ერთი ხელის დაკვრით გადაწყდება, არც ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა ჭირდება, არც საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ექსპერტების მოწვევა და არც დიდი ინვესტიციები. თუ პოლიტიკური ნება იქნება, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები მილიონერების შესაძლებლობების გამოყენებაც დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარების საქმეში, ისე, რომ მათ ჯიბეს ეს ხარჯები მძიმე ტვირთად არ დააწვება.

ეკონომიური მდგომარეობის სწრაფად გამოსწორება რომ ძნელია, ამას ყველა ჭკუათმყოფელი აანალიზებს, მაგრამ რა უშლის ხელს ქართული მეტყველების გამართვას და ყველაფრისათვის შესაბამისი სახელის დარქმევას?

ცოტა ხნის უკან, გამოვაქვეყნე წერილი, სადაც იურისტებს ვუყენებდი პრეტენზიებს, რომ ეგუებიან ისეთ მდგომარეობას, როცა მედიასაშუალებები ერთმანეთში ურევენ ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას და ამის გამო ქურდს უწოდებენ მძარცველს, ყაჩაღს და ა.შ. ამ დანაშაულებს საერთო ის აქვთ, რომ სამივე მიმართულია სხვისი ქონების დაუფლებისკენ, მაგრამ განსხვავება იმ ქმედებაშია, თუ როგორ აღწევს მას დამნაშავე, ამიტომაც, მათი ჩადენისათვის, სასჯელის ზომაც დიდად განსხვავებულია.

ხშირად მიფიქრია: ნუთუ, ამ ზღვა ინფორმაციიდან არაფერი აღწევს მათ ყურამდე, ვისაც საქმის გამოსწორება შეუძლია, თუ აღწევს, რატომ არ მოქმედებენ და თუ არ აღწევს, რაში გვჭირდებიან ყრუალა სკამოსნები?

ზემოხსენებულ წერილში ვამახვილებდი ყურადღებას, რომ უნდა ვხმარობდეთ სიტყვა „განმგებელს“ და არა „გამგებელს“, რადგანაც განმგებელი საქმეს განაგებს, გამგებელი კი ვიღაცას გაუგებს.

უფრო გულდასაწყვეტი ის არის, რომ ვერავის შევასმინე იმ შეურაცხმყოფელი დასახელების შესახებ, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალ ერთ-ერთ წამყვან სამსახურს უწოდებენ. ესაა სიტყვა „კრიმინალური“.

სიტყვა „კრიმინალი-კრიმინალური“ ნიშნავს დამნაშავეობას, დამნაშავეობრივ სამყაროს. თუ ეს ასეა, კრიმინალური პოლიცია ნიშნავს თუ არა დამნაშავეობრივ პოლიციას?

რატომ არ ეხამუშებათ ამ შეურაცხმყოფელი იარლიყის ტარება და როგორ ეგუებიან ამას პოლიციის უთვალავი კეთილსინდისიერი თანამშრომელი?

ამ საქმის გამოსწორება სულაც არ არის ძნელი. მე იმ წერილშივე შემოვდიოდი წინადადებით, რომ ყველაფერი გამოსწორდებოდა თუ პოლიციას ვუწოდებდით „ანტიკრიმინალურ“ პოლიციას.

ვწუხვარ, რომ სამსახურს, რომლის რიგებშიც გავატარე ოცდაათ წელზე მეტი, უწოდებენ კრიმინალურს, ანუ დამნაშავეობრივს და ა.შ.

იცვლებიან გარემოებები, ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდნენ ახალი ადამიანები და ვფიქრობ, იქნებ ახლა მაინც ვინმემ გაიგონოს ხმა მდადადებლისა უდაბნოსა შინა. გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ შევაყარო კედელს ცერცვი და ზემოაღნიშნულის გარდა, გამოვთქვა რამდენიმე მოსაზრება და წინადადება, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, არსებობენ შინაგან სამინისტროდ წოდებული უწყებები, თუმცა სიტყვა „შინაგანი“ სულ სხვა ცნებაა და არ გამოხატავს იმ საქმიანობის არსს, რასაც ეს სამინისტრო ეწევა. შინაგანი შეიძლება ეწოდოს ცოცხალ არსებათა შინაგანი ორგანოების კვლევის ინსტიტუტს, შინაგან რწმენას, შინაგან აგებულებას და ა.შ.

ამ სამინისტროს ნ. ხრუშჩოვმა სახელი შეუცვალა და დაარქვა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო.

თუ სახელმწიფოში არსებობს საგარეო საქმეთა და არა გარეგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც აწარმოებს საგარეო პოლიტიკას, მაშინ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დარქმეოდა საშინაო საქმეთა სამინისტრო, თუმცა, ამ დასახელებით რომ ვიმსჯელოთ, სახელმწიფოში ამ ორი სამინისტროს გარდა, სხვა აღარ იქნებოდა საჭირო, რადგანაც სახელმწიფოს მართვის და აღმშენებლობის ნებისმიერი მოგვარება ქვეყნის საშინაო საქმეა.

ამ სამინისტროს ძირითად ფუნქციას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაერქვას ან საშინაო საქმეთა სამინისტრო, ან მოიძებნოს ისეთი სახელწოდება, რომელიც უფრო შეეფერება მის ფუნქციებს. დაინტერესების შემთხვევაში, ეს ძნელი არ იქნება.

2. საქართველოს და მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში, უმძიმესი დანაშაულის ჩამდენ პირებს უსჯიდნენ სიკვდილით დასჯას და ამ განაჩენს აღასრულებდნენ სხვადასხვა მეთოდებით, როგორიცაა დახვრეტა, ელექტროსკამზე მოკვდინება და ა.შ. ადრე საუკუნეებში კი იყენებდნენ ჩამოხრჩობას, თავის მოკვეთას და ისეთ შემზარავ მეთოდებს, რომლის შეხსენებამაც არ მინდა, მკითხველის გაღიზიანება გამოიწვიოს.

ცივილიზებულ სამყაროში სიკვდილით დასჯა შეცვალეს ე.წ. უვადო პატიმრობით, რაც ჩემი აზრით, უფრო ჰუმანური კი არა, უფრო სატანჯველი სასჯელია. უვადოდ მსჯავრდადებულთა ცხეში სიცოცხლე ხშირად დაახლოებით 50 წელს გრძელდება. ჰუმანურობის გამოჩენა თუ ვინმეს უნდოდა, სასჯელმისჯილთათვის სიკვდილის დადგომის ისეთი მეთოდი უნდა დაეწესებინათ, რომ დამნაშავის ამ ქვეყნიდან გასტუმრება უმტკივნეულო და მოულოდნელი ყოფილიყო მისთვის.

ასეთი შესაძლებლობების დანერგვის შემოთავაზებიდან მე, რა თქმა უნდა, თავს ვიკავებ. ე.წ. მიძინებით დასჯა ჩემი სუბიექტური აზრია, რადგანაც 50 წლის განმავლობაში, სულიერ ტანჯვას მირჩევნია ტკბილად დავიძინო და აღარ გავიღვიძო. ტკბილად ხომ ლაღი ცხოვრების მქონე მრავალმა ცნობილმა ადამიანმა თავისივე სურვილით და მოქმედებით დაამთავრა სიცოცხლე. საიქიოში კი, ვერასოდეს ვერც სახლიდან წაიღებ ქონებას და ვერც საკნიდან.

ახლა კი, ყურადღება მინდა გავამახვილო ე.წ. უვადო პატიმრობაზე.

უთვალავი ხალხი გადასულია ერთიმეორის კრიტიკასა და იურიდიული ნიუანსების გამოყენება-გაკრიტიკებაზე, მაგრამ არავის გამოუთქვამს აზრი იმის შესახებ, რომ „უვადო“ ნიშნავს „განუსაზღვრელს“ და დამნაშავეს თავისუფლების აღკვეთას უსჯიან განაჩენის გამოტანიდან ვადის განსაზღვრის მიუნიშნებლად. აქედან გამომდინარე, პატიმრის გათავისუფლება და სახლში გაშვება შეიძლება განაჩენის გამოტანისთანავე.

იურისპრუდენციაში ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებამ, რომლის ყველა ნიუანსი დაკონკრეტებული არ არის, შეიძლება დაარღვიოს ადამიანთა უფლებები. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვროს სიტყვათა შესაბამისობა.

ჩემი აზრით, სასჯელის ხანგრძლივობის დადგენისათვის უკეთესი იქნება გამოიყენონ არა „უვადო“, „განუსაზღვრელი“, „უსასრულო“, „მუდმივი“ და ა.შ. ტერმინები, არამედ, სიტყვები „სიცოცხლის ბოლომდე“, რადგანაც უვადო, უსასრულო, მუდმივი და განუსაზღვრელი არაფერია გარდა, დროისა და სამყაროსი. განა შეიძლება სასამართლოს განაჩენით ადამიანმა მუდმივად იცოცხლოს და იხადოს სასჯელი?

როცა სასჯელმისჯილის სიცოცხლე ბოლო წუთს მიაღწევს, იგი განთავისუფლდება ამქვეყნიური სასჯელისაგან და მუდმივად შეუერთდება მარადიულობას.

ყველა პატიმარს კი, მისი სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს უნდა მიეცეს ახლობლებთან გამოსამშვიდობებელი წერილის და ანდერძის დატოვების შესაძლებლობა, რომელიც უნდა ინახებოდეს სათანადო წესით და გარდაცვალების შემდეგ ეძლეოდეს მისგანვე მითითებულ პირს.

ვფიქრობ, ამ წერილის გამოქვეყნებით არაფერი შეიცვლება, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ შემეყარა კედლისათვის ცერცვი, იქნებ ბიუროკრატიის კედლის ან ცერცვის თვისებები შეიცვალა?!

ამავე დროს, მამლის ნათქვამიც მახსენდება: მე ვიყივლებ და გათენება ღმერთმა იცისო.

რევაზ გრიგალაშვილი

პროექტში „მე და კონსტიტუცია" ხაშურის №3 საჯარო სკოლის გუნდი ფინალისთვის ემზადება

ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის ცნობიერებისა და სახლმწიფოებრივად აზროვნების ჩამოყალიბებისთვის, მრავალი პროექტი თუ პროგრამა ხორციელდება. ამის მაგალითია გასულ წელს, პრეზიდენტის ინიციატივით დაარსებული პროექტი "მე და კონსტიტუცია", სადაც ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლები წარმატებით მონაწილეობენ. წელს, ხაშურის №3 საჯარო სკოლის გუნდმა, შიდა ქართლის მასშტაბით პირველი ადგილი დაიკავა და მაისში ფინალური შეხვედრისთვის ემზადება. გუნდის წევრები მარიამ პაპიაშვილი, ლუკა გოგალაძე, ნინო გაჩეჩილაძე, თიკო ფცქიალაძე საქართველოს პრეზიდენტისა და ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსისგან უკვე დაჯილდოვდნენ დიპლომებით. პროექტის არსის შესახებ თვითონ მოსწავლეებმა ისაუბრეს:

მარიამ პაპიაშვილი (გუნდის კაპიტანი):

–პროექტი "მე და კონსტიტუცია" გასულ წელს დაიწყო. შიდა ქართლის მასშტაბით ჩატარებულ შესარჩევ ტურზე მეორე ადგილი დავიკავეთ, ხოლო შემდეგ, საქართველოს მაშტაბით, მეორე ადგილზე გავედით. წელს, კონსკურსი რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. პირველი ეტაპი იყო ვიდეოგადაღება, რომელიც შეეხებოდა კონსტიტუციის ცნების გაგებას, გავავლეთ პარალელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობასა და დღევანდელ მოსახლეობას შორის კონსტიტუციის ცოდნის და არსის გაგების მიხედვით. მეორე ეტაპი კონსტიტუციის ცოდნას მოიცავდა, რომელიც ასევე სამ ეტაპად იყოფოდა. ყველაფერი გუნდური მუშაობის პრინციპზეა დამყარებული.

ლუკა გოგალაძე:

–შიდა ქართლიდან შეირჩა ექვსი სკოლა, აქედან ჩვენი სკოლა, იტრიის, VI სკოლა, ერთი ქარელის და ორი გორის სკოლა, გავედით ნახევარფინალში. ინფორმაცია სკოლებში მოვიდა, ამის საფუძველზე მივიღეთ მონაწილეობა. მაისში მივდივართ ბაზალეთზე ორი დღით, სადაც გაიმართება დასკვნითი ტური ფინალისტ გუნდებს შორის. იქაც სამი ეტაპია. იმედია, იქაც წარმატებით

ხაშურელი მორაგბე ლიონის რაგბის გუნდის წევრი გახდა

კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია რაგბის გულშემატკივართათვის, 18 წლის ხაშურელი მორაგბე, მურმან აბრამაშვილი ქალაქ ლიონის, Saint-Priest Rugby -ის სპორტულ კლუბის წევრი გახდა.

მურმან აბრამაშვილი 1998 წლის 7 ივლისს დაიბადა ქ.ხაშურში. 2013-2014 წლებში იგი ხაშურის მუნიციპალიტეტის სარაგბო გუნდ „ლეგიონის“ ღირსებას იცავდა, წარმატებული ასპარეზობის შემდგომ, 2014-2016 წლებში, მან ასპარეზობა განაგრძო საფრანგეთის სამოყვარულო ლიგის გუნდ EMS BRON XV-ში.

მურმან აბრამაშვილი ხაშურის სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებლების, დავით სტეფანოვის და არსენ გიორგაძის აღზრდილია.

წარმატებებს და წინსვლას ვუსურვებთ მურმანს!

– ძიუდო –

კატოვიცეში ხაშური გაიცნეს

პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში, ამ დღეებში, ევროპის თასის მოსაპოვებლად, მრავალი ქვეყნის ძიუდოისტები შეიკრიბნენ. ჩვენი მუ-



ნიციპალიტეტის ორი წარგზავნილი მართლაც ღირსეულად გამოვიდა ამ პირველობაზე და ლაშა ჩადუნელმა(60კგ.) ვერცხლის, ხოლი ზვიად კაპანაძემ ბრინჯაოს მედალი ირგუნეს.

ვულოცავთ მათ ამ წარმატებას და მათგან მომავალშიც ახალ გამარჯვებებს ველით.

სურათზე: ლაშა ჩადუნელი

- თავისუფალი ჭიდაობა -

წარმატება ჩოხატაურში

ამ დღეებში, ჩოხატაურში, გაიმართა ზურაბ ბიბინეიშვილისა და ხვიჩა ცინცაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი VI რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 2002-2004 და 2005-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. აღნიშნულ ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს ჩვენი მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა: გოგა მულაძე (32კგ.) და საბა მიქელაძე (42კგ.) ჩემპიონები გახდნენ; გიორგი კაპანაძემ(32კგ.) და ტარიელ გრიგალაშვილმა (47კგ.) ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ხოლო ლევან ნოზაძე (23კგ.), გოგა მულაძე (35კგ.) და დავით რომაშვილი (47კგ.) მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ. (მწვრთნელები გიორგი და ვახტანგ კვინიკაძეები).

- არა ოკუპაციას -

``ისტორია არ უნდა განმეორდეს“

2017 წლის 23-27 თებერვალს, ივანე ხრიკულის სახელობის ხცისის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა თამარ ბოგოზაშვილმა, ხვიჩა ზერებცოვმა, თინათინ ტარიელაშვილმა, გურამ ციცქიშვილმა და ლანა ჭანგურიძემ მოხ-

ალისე მეთერთმეტეკლასელთან ხატია ლომიძესთან ერთად, განახორციელეს 25 თებერვლის ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი საკლასო პროექტი „ისტორია არ უნდა განმეორდეს !!!“ პროექტის მიზანი იყო მეტი ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება 1921 წლის თებერვლის მოვლენების შესახებ, მოსწავლეებისა და თემის ინფორმირებულობის დონის ამაღლება ოკუპაციის საკითხთან და კავშირებით, პატივის მიღება ოკუპაციის მსხვერპლთა ხსოვნისადმი, ნახატის ენით მოსწავლეთა ალაპარაკება თემაზე “არა ოკუპაციას”. პროექტი რამდენიმე აქტივობას ითვალისწინებდა

23 თებერვალს, მოსწავლეებმა, წინასწარ მოძიებული მასალებით, საინფორმაციო ბუკლეტები დაამზადეს მოსახლეობაში დასარიგებლად, ასევე, მოვიფიქრეთ დაგვემზადებინა განსხვავებული სამკერდე სიმბოლოები “ვიდრე წითელი ყაყაჩოა” და გავაკეთეთ საქართველოს რუკის კონტურში ჩაწერილი “ვერ წაგვშლით”.

24 თებერვალს, პარასკევს, გაკვეთილების შემდეგ, საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ჩართულობის დაინტერესების მიზნით, გამოვაცხადეთ ნახატების კონკურსი “ არა ოკუპაციას”. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ მე-5 - მე-7 კლასის მოსწავლეები. მათ, შეძლებისდაგვარად,

გაართვეს დავალებას თავი. კონკურსის შემდეგ მოვაწყეთ პრეზენტაცია, 25 თებერვალი - ტკივილისა და ცრემლების დღე და მსმენელებს(მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს, თემის წარმომადგენლებს) გავუკეთეთ სამკერდე ნიშნები, პრეზენტაციისა და მცირე დისკუსიის შემდეგ, მე-2 სართულის ფოიეში, გავაკეთეთ ნახატების გამოფენა. პროექტის წევრებმა ვიმსჯელეთ და გამოვავლინეთ სამი გამარჯვებული ნახატი, რომლებიც ზუსტად პასუხობდენ კონკურსის მოთხოვნას-მთვარი იყო ნახატის შინაარსი და არა მისი ხატვის ტექნიკა. ორშაბათს ველოდებით, საერთო ხმის მიცემის პრინციპით გამოვავლინოთ ე.წ. “ ხალხის რჩეული”, ვნახოთ, პროექტის მონაწილეთა და სკოლის სხვა მოსწავლეთა არჩევანი დაემთხვევა თუ არა ერთმანეთს. გამარჯვებული ნახატების ავტორები დაჯილდოვდებიან ჩვენს მიერ დამზადებული სიგელებით.

25 თებერვალს, შაბათს, პროექტის მონაწილეები, მე-10 კლასის მოსწავლეები ვეწვიეთ სკოლის ეზოს, დავუშვით სახელმწიფო დროშა, წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ ოკუპაციის მსხვერპლთა ხსოვნას. ამის შემდეგ, გავემართეთ მოსახლეობაში საინფორმაციო ბუკლეტების დასარიგებლად. ჩვენს სამიზნე პერსონებს წარმოადგენდნენ ხანშიშესული ადამიანები, რომლებიც დღესაც საბჭოთა ყოფის ერთგული შვილები არიან. ბევრი ოჯახი მოვიარეთ, გავესაუბრეთ, ბუკლეტები დავურიგეთ. იმედია, დავაინტერესეთ, წაიკითხავენ და შეიქმნიან სწორ დამოკიდებულებას 25 თებერვლის მოვლენების შესახებ.

ნინო ღულაძე,
ივანე ხრიკულის სახელობის ხცისის საჯარო სკოლის
სამოქალაქო განათლების პედაგოგი

სურამელი მხატვარი, რომელიც ამერიკის გაოცებას აპირებს

უნიჭიერესი, მრავალმხრივი შემოქმედი, ფერთა დიდოსტატი, სილამაზის ქურუმი... სურამელი მხატვრის გიგა ბლიაძის შესახებ ამერიკულ პრესაში უკვე შეხვდებით ასეთ ეპითეტებს. მის გამოფენას, რომელიც 4 მარტიდან ნიუ-იორკში, მანჰეტენზე დაიწყო, მრავალი მნახველი ჰყავს და შეფასებებიც უმაღლესია. იური და ლია ბლიაძეების შესანიშნავ ოჯახში აღზრდილი მხატვარი დღეს ნიუ-იორკში ქართული ხელოვნების ერთგვარი დესპანია და არაფერია გასაკვირი, რომ მის შემოქმედებაზე კიდევ დიდხანს ისაუბრებენ. გაზეთმა „„პრაიმ ტაიმი“ მას საინტერესო სტატია მიუძღვნა. ქვემოთ სწორედ ამ სტატიას გთავაზობთ.

* * *

სახელოვნებო წრეში კარგად იცნობენ. ის არის მხატვარი, რომელმაც ბავშვობის ჰოპი მთავარ გატაცებად აქცია და დღეს წარმატებულია არა მარტო საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთაც.

„ჩემთვის სილამაზეა მთავარი, ეს იქნება ქალი, ფერი, თუ სხვა რამ``

ამჟამად გიგა ბლიაძე საკუთარ კარიერას აშშ-ში აგრძელებს და „პრაიმტაიმიც“ მას ამერიკაში დაუკავშირდა. გიგა ბლიაძის ნამუშევრები იმითაა განსხვავებული, რომ მასში აშკარად შეიცნობა მხატვრის ემოციები, გრძნობები, მნახველი ხედავს, რომ ნამუშევრების ინსპირაცია სილამაზეა. სწორედ სილამაზიდან იღებს შთაგონებას გიგა ბლიაძე, როცა ხატვას იწყებს. „ჩემთვის სილამაზეა მთავარი, ეს იქნება ქალი, ფერი თუ სხვა რამ. სილამაზეა ჩემი შემოქმედების მთავარი ღერძი“.

``მხატვრობა მთელი ცხოვრების შეწირვას მოითხოვს მსხვერპლად''

საინტერესოა, რომ ის წარმატებისთვის დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდა. ხშირად ამბობს, რომ „მხატვრობა მთელი ცხოვრების შეწირვას მოითხოვს მსხვერპლად“. ხატავს ზეთში, ფანქარში, ტემპერაში, არ ეშინია ჩარჩოებში და ცდილობს, საკუთარი შესაძლებლობები ყველა ჟანრში მოსინჯოს, რეალიზმიდან დაწყებული, სიურეალიზმით დამთავრებული. „ვცდილობ, კონკრეტულ სტილზე არ დავკონკრეტდე და მრავალმხრივად განვვითარდე. ყოველთვის ვცდილობ, სხვადასხვა სტილზე ვიმუშაო. ძირითადად ვმუშაობ ნატურალიზმში, რეალიზმში, სიურეალიზმში, ავანგარდში. ტექნიკაშიც ასე ვარ, ზეთების გარდა, ვხატავ აკვარელში, ფანქარში, ტემპერაში... ვცდილობ, ერთ ტექნიკაზე არ გავჩერდე და სხვადასხვა ტექნიკაში ვცადო თავი“.



გიგა ბლიაძის ნახატები გამორჩეულია იმითაც, რომ საღებავებს თავად ქმნის, აზავებს და თავისთვის სასურველ ფერსა და ტექნიკას ირჩევს.

მანამ, სანამ საქართველოს დატოვებდა და ამერიკაში გამოფენის მოსაწყობად გაემგზავრებოდა, დიდ დროს უთმობდა საკუთარი შემოქმედებისა და ზოგადად, ხელოვნების რეგიონში პოპულარიზაციას.

პირველი გამოფენაც იქ გამართა, სადაც დაიბადა - ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამის შემდეგ იყო გამოფენები საქართველოში, ძირითადად ლიტერატურის მუზეუმში, გერმანიაში, ინდოეთში, ნიუ-იორკში...

ახლაც აშშ-ში გამოფენის მოსაწყობად გაემგზავრა. სურს, რომ საკუთარ შემოქმედებას, ადგილობრივი ბაზრის გარდა, პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზეც გაუწიოს.

4 მარტიდან, ბარჯლეის კოლეჯში, მანჰეტენზე, მნახველები გიგა ბლიაძის შემოქმედების შეფასებას შეძლებენ.

სალომე ჩადუნელი

უღელტეხილის სალიანდაგო სამმართველოს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამმართველოს ინჟინერი

თეონა თომაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს რკინიგზის პროფკავშირის გამგეობა და ხაშურის კვანძის რწმუნებულის აპარატი თანაუგრძნობს, სალიანდაგო სამმართველოს უფროსს, დიმიტრი ნემსაძეს, მეუღლის,

თეონას გარდაცვალების გამო

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია იუწყება დამსახურებული პედაგოგის,

ნელი ფცქიალაძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებს ოჯახს! D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.